

საიდ. N 74426/03

IR 602832

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №197-03/14**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ს. ებრალიძე, ქ. კილაძე, ლ. ახოზაძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ინდუსტრია კიმიჩა ადრიატიკა ს.პ.ა.“ (INDUSTRIA CHIMICA ADRIATICA S.P.A.) (მის.: 52, ვისა სანდრო პერტინი, I-62012 ჩივიტანოვა-მარკე (MC) იტალია; 52, Via Sandro Pertini, I-62012 CIVITANOVA MARCHE (MC) (IT)) N197-03/14 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014

წლის 11 სექტემბრის №2365/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „ICA“ (საიდ. N74426/03, IR 602832) დაცვის მინიჭება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (პირველი და მე-2 კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 სექტემბრის №2365/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი კომბინირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „ICA“ (ლათინური ანბანით შესრულებული) მსგავსია კომპანიის „იმპერიალ ქემიკალ ინდასტრიზ პლკ“ (IMPERIAL CHEMICAL INDUSTRIES PLC) მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებული ლათინური ანბანით შესრულებული ნიშნებისა: „ICI“, (რეგ. N13222, რეგ. თარიღი: 04/04/2000წ.) და კომბინირებული სასაქონლო ნიშნისა „ICI“ (რეგ. N2812, რეგ. თარიღი: 31/07/1996წ.). ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალურად ისე ფონეტიკურად, დაპირისპირებულ ნიშნებს მხოლოდ ერთი ასო განასხვავებს ერთმანეთისგან, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას პირველი და მე-2 კლასების საქონლის მსგავსი ჩამონათვალისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „ICA“ (საიდ. N74426/03, IR 602832), „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე პირველი და მე-2 კლასების საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე „სასაქონლო

ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველი.

აპელანტის მტკიცებით, ორივე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვიერ და გამოსახულებით ელემენტებს, სიტყვიერ ელემენტს მიეკუთვნება ლათინური ანბანის ასოების ერთობლიობა „ICA“ და „ICI“, რომლებიც აპელანტის აზრით, მიუხედავად მსგავსებისა, წარმოადგენენ ნიშნების მფლობელი კომპანიების შემოკლებულ დასახელებას „INDUSTRIA CHIMICA ADRIATICA S.P.A.“ („ICA“) და „Imperial Chemical Industries Limited“ („ICI“).

აპელანტი მიიჩნევს, რომ კომპანიები ხშირად იყენებენ საკუთარი კომპანიის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას სასაქონლო ნიშნების სიტყვიერ ელემენტებად, რათა ამგვარად მოხდეს მათი მომხმარებლის მხრიდან დამახსოვრება და გარჩევა.

აპელანტის აზრით, მოცემულ შემთხვევაში გამოსახულებითი ელემენტებიდან არსებითია ნიშნებში არსებული გეომეტრიული ფორმები, განცხადებულ ნიშანში ექვსკუთხედი, ხოლო დაპირისპირებულ ნიშანში წრე, აპელანტს მიაჩნია, რომ თავისი ფორმებიდან გამომდინარე შეუძლებელია მათი აღრევა, რადგან მისი მტკიცებით, განცხადებული ნიშანში ფიგურის ერთი გვერდი გახსნილია, ხაზები წაგრძელებულია და ჰგავს სინჯარას. დაპირისპირებულ ნიშანში ასოები განლაგებულია მუქ ფონზე, ხოლო განცხადებულში ღია ფონზე.

აპელანტი ასევე, აღნიშნავს, რომ დაპირისპირებული ნიშნები რეგისტრირებულია OHIM-ში და მშვიდობიანად თანაარსებობენ ევროკავშირის ქვეყნებში;

ზემოაღნიშნული გარემოებებითა და საერთო შთაბეჭდილებიდან გამომდინარე, აპელანტი მიიჩნევს, რომ ნიშნები განხვავდება ერთმანეთისგან და შესაძლებელია გადაისინჯოს წინასწარი უარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული

ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 სექტემბრის №2365/03 ბრძანება და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ICA“ (საიდ. N74426/03 IR 602832) მიენიჭოს დაცვა განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი №197-03/14 არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „ მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული კომბინირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „ICA“ (საიდ. N74426/03, IR 602832) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ICI“, (რეგ. N13222) და კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „ICI“ (რეგ. N2812) აღრევამდე მსგავსია. სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ICA“ (საიდ. N74426/03, IR 602832), ისევე როგორც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ICI“ (რეგ. N2812) კომბინირებულია და შედგება, როგორც სიტყვიერი, ისე გამოსახულებითი ელემენტებისაგან. განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტი არის ლათინური ანბანით შესრულებული, სამი ასოსგან შედგენილი სიტყვა „ICA“. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებიც ლათინური ანბანით არის შესრულებული, შედგება ასევე სამი ასოსგან და გამოიხატება, როგორც „ICI“. შესაბამისად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სიტყვიერ ელემენტებს განსხვავებული აქვთ მხოლოდ ბოლო

ასო, კერძოდ „A“ და „I“. რაც შეეხება სასაქონლო ნიშნების გამოსახულებით ელემენტებს, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს ექვსკუთხედის გამოსახულებას, რომელსაც ზედა მარჯვენა გვერდი აქვს გახსნილი და ექვსკუთხედის შიგნით, სიტყვიერი ელემენტის ქვემოთ, მოთავსებულია ორი ტალღისებრი ხაზი. რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს „ICI“ (რეგ. N2812), მისი გამოსახულებითი ელემენტი შედგება ერთმანეთში მოთავსებული ორი წრისგან. ერთი წრე წარმოადგენს კონტურს, ხოლო მეორე წრე შავი ფერისაა და მის შიგნით, ასევე სიტყვიერი ელემენტის ქვემოთ, მოთავსებულია ორი ტალღისებრი ხაზი.

ფონეტიკური თვალსაზრისით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები გამოითქმის მსგავსად. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ICA“ (საიდ. N74426/03, IR 602832), ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის როგორც „აი სი ეი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ICI“, (რეგ. N13222) და კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „ICI“ (რეგ. N2812), როგორც „აი სი აი“. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში განსხვავებული დაბოლებების - „ეი“ და „აი“ არსებობა, არ სძენს მათ საკმარის განმასხვავებლობას იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

სააპელაციო პალატის კოლეგიის აზრით, მსგავსია ის საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც სასაქონლო ნიშნები ახდენენ მომხმარებელზე. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების როგორც გამოსახულებითი, ისე სიტყვიერი ელემენტების მსგავსება, შესაძლებელს ხდის მოხდეს მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

სააპელაციო პალატის კოლეგია იზიარებს აპელანტის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენენ სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიების შემოკლებულ სახელწოდებას და აღნიშნავს, რომ მსგავსია ზემოაღნიშნული კომპანიების აბრევიატურები „INDUSTRIA

CHIMICA ADRIATICA S.P.A.“ („ICA“) და „Imperial Chemical Industries Limited“ („ICI“), სწორედ აღნიშნული ქმნის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

რაც შეეხება განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების პირველი და მე-2 კლასების საქონლის ჩამონათვალს, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ საქონლის ჩამონათვალი აღრევამდე მსგავსია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ICA“ (საიდ. N74426/03, IR 602832), არ უნდა მიენიჭოს დაცვა.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ინდუსტრია კიმიჩა ადრიატიკა ს.პ.ა.“ (INDUSTRIA CHIMICA ADRIATICA S.P.A.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №197-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 სექტემბრის №2365/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

ქ. კილაძე

ს. ებრალიძე